მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 27.05.2015

ერთის მხრივ, **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის განვითარების ფონდი," (ს/კ 404384974)** წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, **ბ-ნ მერაბ ფოლადაშვილის სახით** (შემდგომში: „დამკვეთი") და მეორეს მხრივ, **შპს "არქიკულტურა" (ს/კ 404874347**), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **გოჩა გუნიავას** სახით (შემდგომში: „შემსრულებელი"), ერთობლიობაში მხარეები, წინამდებარე აქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

დამკვეთსა და შემსრულებელს შორის 2013 წლის 5 აგვისტოს ქ. თბილისში, ძველი უბნების რეაბილიტაციის ფარგლებში წყალმომარაგება-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს 2015 წლის 11 მაისის, N002693215 ექსპერტიზის დასკვნისა საფუძველზე, შემსრულებელმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის დანართში (ფორმა N2) წარმოდგენილი სამუშაოები.

დამკვეთმა მიიღო შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოები წარმოდგენილი ფორმა 2-ების მიხედვით და კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ქვემოთ განსაზღვრული პირობების და მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

დამკვეთს ეკისრება ვალდებულება წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გადაუხადოს შემსრულებელს **35 258.48 (ოცდათხუთმეტი ათას ორასორმოცდათვრამეთი ლარი და ორმოცდარვა თეთრი) ლარი.**

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით „შემსრულებელი" ადასტურებს, რომ „დამკვეთის" მიმართ არ გააჩნია არანაირი პრეტენზია, მათ შორის ფინანსური.

დამკვეთი:

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"
ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების N48
ს/კ 404384974

მერაბ ფოლადაშვილი

შემსრულებელი:

შპს „არქიკულტურა"
ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ.N35,,ბ. 7
ს/კ 404874347

გოჩა გუნიავა